საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1162

28/07/2021

ქ. თბილისი

„შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მდ. ჭოროხზე ჰესების კასკადის 110 და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის №ი-228 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 29 ივნისს სამინისტროს მომართა შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის დირექტორმა და ითხოვა 2014 წლის 22 აპრილს გაცემული №19 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის №ი-228 ბრძანებით შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მდ. ჭოროხზე ჰესების კასკადის 110 და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №19 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. პროექტში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ „ხელვაჩაური“ და „კირნათი“ ჰესების ქსელთან მიერთების 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის ცვლილებაზე 2015 წელს გაიცა №61 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს 2014 წლის 23 აპრილს გაცემული №19 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას. შესაბამისად, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მდ. ჭოროხზე ჰესების კასკადის 110 და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის №ი-228 ბრძანება;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მდ. ჭოროხზე ჰესების კასკადის 110 და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის №ი-228 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი